N-43 ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ.ადიგენი 29.06.2021წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე ვარდიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. ,,მეგა შოპი“ ,შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის – სერმან მურჯიკნელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები,“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, 2021წლის ბიუჯეტის სახსრებით, ა(ა)იპ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის“ ნოუთბუქის სატენის და უწყვეტი კვების წყაროს(EG-UPS-001) შესყიდვა.

კლასიფიკატორის კოდები: CPV-კოდები:
30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
30230000 - კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობები

2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

1.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **210(ორას ათი) ლარს .**

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმოწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი,მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ საქონელი შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და იქნება სათანადო მდგომარეობაში, არ იქნება დაზიანებული.

3.2 შესყიდული საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ არაუგვიანეს 5(ხუთი)სამუშაო დღისა.

3.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდული საქონლის მიწოდების ადგილია -ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

4.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.2. პუნქტში 4.1 აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან: ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი არზრდის დაწესებულების დირექტორი მარინე ვარდიძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი სერმან მურჯიკნელი.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2. დაფინანსების წყარო: 2021წლის წლის ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

5.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1. დროულად დაადასტუროს საქონლის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით გასაფორმებელი დოკუმენტ(ებ)ი;

6.1.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.1.3. უზრუნველყოს მიწოდებული პროდუქციის შენახვა მწარმოებლის მიერ დადგენილი ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება;

6.1.4. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინპექტირება;

6.1.5. შეასრულოს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები;

6.1.6. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1.ჩაატაროს შემოწმება მიწოდებული საქონლის, ხელშეკრულებისა და შესაბამის დანართებთან შესაბამისობის დასადგენად;

6.2.2.მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.3.1.შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი,დანართი#1ის შესაბამისად

6.3.2. საქონლის მიწოდების შემდეგ, ხარვეზის ან/და წუნდებნის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი ან/და გამოცვალოს დაზიანებული საქონელი ახლით.

6.3.3. დროულად დაადასტუროს საქონლის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით გასაფორმებელი დოკუმენტ(ებ)ი;

6.3.4. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად;

6.3.5. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6.3.6. მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველთან საქონლის მიწოდების განრიგის, სიხშირის, მიწოდების ადგილისა და თითოეულ მისამართზე მისაწოდებელი პროდუქტის რაოდენობის დაზუსტების მიზნით.

6.3.7 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ საგარანტიო მომსახურება ხორციელდება ნივთზე თანდართული საგარანტიო ტალონის პირობების შესაბამისად“.

6.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მხარის მიერ მეორე მხარისადმი გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა მხარე(ებ)ს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

8. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ .ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.ფორსმაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გონივრული ეჭვის საფუძველზე, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესრულების კონტროლი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ კონტროლის განხორციელებაში.

10.2. კონტროლისას ხილვადი დეფექტის (ეტიკეტი, შეფუთვა და ა.შ.), ნაკლის, უხარისხო პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა შეადგინოს აქტი შემდგომი რეაგირებისათვის.

10.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის, უხარისხო პროდუქტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო შეტყობინებით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს საქონლის შეცვლა.

10.4. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს დირექტორი მარინე ვარდიძე

11. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს.

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

11.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ, რომელიც ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. სადავო საკითხ(ებ)ის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

13. კონფიდენციალურობა

13.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

14.სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2021 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

16.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

საიდენტიფიკაციო კოდი: 222729279

მის.:დ.ადიგენი ა.ბალახაშვილის #19

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ა/ ნომერი- GE24NB0330100200165022

სახაზინო კოდი -TRESGE22

დირექტორი:მ.ვარდიძე

მიმწოდებელი შპს „ მეგა შოპი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400058085

მის: ქ. ახალციხე, ნიკოლაძის ქ. №39

მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ ა GE91BG0000000857045000;

დირექტორი: სერმან მურჯიკნელი

ფასების ცხრილი

#	დასახელება	განზ.ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო ღირებულება
1	ნოუთბუქის სატენი	ცალი	1	45	45
2	უწყვეტი კვების წყარო	ცალი	1	165	165

დირექტორი: /ს.მურჯიკნელი/